D1/19-23

20 თებერვალი, 2023

RSM Georgia

85, Z.Paliashvili str
Tbilisi 0162, Georgia

T +995 (32) 255 88 99
F +995 (32) 255 88 99

www.rsm.ge

შპს „არესემ საქართველოსა“ და შპს „ველაჯიოს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ჩვენ გვევალებოდა შპს „ველაჯიოს“ (შემდგომში კომპანია) 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლის ცალკემდგომი და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი (ცალკემდგომი ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღია 2022 წლის 29 აგვისტო, რომელზეც ჩვენ გავეცით პირობითი მოსაზრება). დავიწყეთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, თუმცა პროცედურების დაწყებისას, კომპანიის მენეჯმენტმა 2022 წლის 30 ივნისს მოგვმართა წერილით, რომ შპს „ველაჯიო“ აღარ ახდენდა შვილობილი კომპანიების: შპს „ჯორჯიან ბაზალტის“ (ს/კ 405233732), შპს „ქუთაისი პლაზასა“ (ს/კ 404898697) და შპს „მპ დეველოპმენტის“ (ს/კ: 404960217) კონსოლიდაციას, რადგან შპს „ველაჯიო“ უშუალოდ და ერთპიროვნულად აღარ ახორციელებდა საზედამხედველო/მმართველობით ფუნქციებს ამ კომპანიებთან მიმართებაში, ხოლო სს „მშენებელს“ (248435493) და შპს „ოილ ინვესტს“(205202261) არ განუხორციელებია რაიმე სახის ოპერაცია ან ეკონომიკური საქმიანობა 2021 წლის განმავლობაში. ასევე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „მშენებლის“ და შპს „ოილ ინვეტის“ საკუთრებაში არ ყოფილა რაიმე სახის აქტივები ან/და ვალდებულებები, რომელსაც შეეძლო არსებითი ზეგავლენა მოეხდინა შპს „ველაჯიოს“ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე და შესაბამისად კომპანიას აღარ მოეთხოვებოდა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტი.

ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, არ ჩაგვიტარებია შპს „ველაჯიოს“ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და კომპანიის მენეჯმენტის განცხადებით კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი ცალკემდგომი ანგარიშგებისაგან.

20 თებერვალი 2023

არესემ საქართველოს სახელით

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

შპს "არ ეს ემ საქართველო" RSM GEORGIA 202449207 RSM GEORGIA

THE POWER OF BEING UNDERSTOOD
AUDIT | TAX | CONSULTING

Ltd. RSM Georgia is a member of the RSM network and trades as RSM. RSM is the trading name used by the members of the RSM network. Each member of the RSM network is an independent accounting and consulting firm which practices in its own right. The RSM network is not itself a separate legal entity in any jurisdiction.

Lead sponsors
European Business Awards